სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

10 / იანვარი / 2025 წ.

KA080139479415025

№ **84**

განკარგულება

შპს „მარეთი 777“-ის თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „მარეთი 777“-ის (ს/ნ: 447861216) 2024 წლის 30 დეკემბრის მომართვა (რეგისტრაციის № 11516), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2025 წლის 9 იანვარს წარმოადგინა 2025 წლის 8 იანვრის დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 81), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 6 იანვრის №28 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „მარეთი 777“ (ს/ნ: 447861216) 2025 წლის 13 იანვარს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე